წერილის ნომერი: **18-01251273717**
თარიღი: **07/05/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N60-01251251526
წერილის თარიღი:	05 მაისი, 2025
განმცხადებელი:	ლევან მესხელი
განაცხადის N	AR11087031
მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ N70
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.14.03.038.073
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	IV კლასი (სავარაუდო კლასი)
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	**მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება**
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია“ (ს/ნ: 404851503)
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) გამწვანებული ტერიტორიები
არსებული შეზღუდვები	----------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა მწვანე ნარგავების ამსახველი ფოტომასალა ტოპო. გეგმა საპროექტო შენობის განთავსების სქემით, მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით, საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის დაშორების მანძილების აღნიშვნით წერილობითი ინფორმაცია მშენებლობის ხელისშემშლელი ნარგავების შესახებ
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

სამსახურის პოზიცია მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს

ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,, №255 დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, №255 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი; №255 დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; №255 დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; №255 დადგენილების მე-10^1 მუხლი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის №52-13 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1-ის, პირველი, მე-2 მუხლები, N11-58 დადგენილების მე-3, მე-4, მე-5, 25-ე, 29-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე, 34-ე, 35-ე, **38-ე,** 39-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია, 2017 წლის 24 ივლისის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის ბრძანება ,,ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“.

სამსახურის პოზიცია

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, რაც უზრუნველყოფს ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას, ასევე, მცენარეების გადარგვის შესაძლებლობა და გადარგვის შემდგომ გახარების ალბათობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ სამსახური თანახმაა, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით დამატებით გასცეს საპროექტო არეალში (შენობა N1-თან) არსებული 43 ძირი მწვანე ნარგავის (4 ძირი იუკა: N34 -4სმ, N35-5სმ, N36-3სმ, N37-4სმ, N38 ტუია -1სმ; ღვია N39 -1სმ, 4 ძირი იაპონური ჭანჭყატი: N40-1.3სმ, N41-1.2სმ, N42-1.3სმ, N43- 1.2სმ, პალმა N44 - 20სმ, 2 ძირი ჩინური ღვია: N45-1.2სმ, N46-1სმ, 3 ძირი თრიმლი: N47-1.5სმ, N48-1.6სმ, N49-1.5სმ, 10 ძირი აღმოსავლეთის ტუია: N50-1.2სმ, N51-1.5სმ, N52-1.2სმ, N53-1სმ, N54-1სმ, N55-1.5სმ, N56-1.2სმ, N57-1.3სმ, N58-1სმ, 59-1.2სმ, 7 ძირი დასავლეთის ტუია: N60-1სმ, N61-1.2სმ, N62-2სმ, N63-0.9სმ, N64-1სმ, N65-0.9სმ, N66-0.9სმ, 2 ძირი ოლეანდრა: N67-0.8სმ, N68-1სმ, 6 ძირი იაპონური ჭანჭყატი: N69-1.5სმ, N70-1.3სმ, N71-1.2სმ, N72-1.3სმ, N73-1.4სმ, N74-1.2სმ, 2 ძირი ტუია: N75-1სმ, N76-0.9სმ) იმავე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვა მას შემდეგ, როდესაც დაინტერესებული პირი გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარმოადგენს მშენებლობის ნებართვას, გადარგვის საბოლოო ნებართვის მისაღებად.

აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

აღნიშნული გადაწყვეტილება განხილულ იქნას სამსახურის 2023 წლის 7 დეკემბრის N18-0123341685 წერილით განსაზღვრულ პირობებთან ერთად და მათი გათვალისწინებით.

პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელი წინაპირობები

II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციისას, ასევე, იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული)**.

მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან, ყვავილებთან მიმართებით.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან **(გარდა ვერხვისა, კვიპაროსისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით -**20-25 კვ. მეტრი** 1 ძირი დიდი ვარჯის მქონე ხისთვის. ხოლო 1 ძირი მცირე ზომის ვარჯის მქონე ხისთვის **10-12 კვ.მ.**

ხის ნერგი გამოზრდილი უნდა იყოს სანერგეში, სწორი ფორმის მქონე მთავარი ღეროთი. მარადმწვანე ხეები (როგორც წიწვოვანი ასევე, ფოთლოვანი) დაფესვიანებული შესაბამისი ზომის კონტეინერში არანაკლებ 65 ლიტრი (CLT).
წიწვოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში (გარდა იტალიური ფიჭვისა, მასზე ვრცელდება ფოთლოვანი ხეების პარამეტრები), ნერგის სიმაღლე არანაკლებ 3 მ; მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა (CIRC) არანაკლებ 0,16 მ., ფესვის ყელიდან 0,1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული; ქოთანში დაფესვიანებული; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს ფესვის ყელიდან არაუმეტეს 0,25 მ. სიმაღლეზე.
ფოთლოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში, ნერგის სიმაღლე 3.5 მ.; მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა (CIRC) არანაკლებ 0,18 მ. ფესვის ყელიდან 1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს მცენარის ფესვის ყელიდან არანაკლებ 1,8 მ. სიმაღლეზე; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული.

აქვე, გაცნობებთ, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა თითოეული საინჟინრო კომუნიკაცია დატანილი იქნას გამწვანების დეტალურ პროექტზე და გეგმარების პროცესში გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

დანართი: 4 გვერდი;

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-0123341685**
თარიღი: **07/12/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N60-01233193539
წერილის თარიღი:	15 ნოემბერი, 2023
განმცხადებელი:	ლევან მესხელი
განაცხადის N	AR1942331
მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ N70; პეტრე ქავთარაძის ქუჩა N1, N21ა
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.14.03.038.067; 01.14.03.038.066; 01.14.03.038.038
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა; IV კლასი (სავარაუდო კლასი)
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია“ (ს/ნ: 404851503)
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) გამწვანებული ტერიტორიები
არსებული შეზღუდვები	----------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა ფოტომასალა ტოპო. გეგმა საპროექტო შენობის განთავსების სქემით, მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით ინფორმაცია მოსაჭრელი/გადასარგავი მცენარეების შესახებ
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

სამსახურის პოზიცია მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ (შემდგომში ,,კანონი“) მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი, კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1-ის, 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 მუხლები; 29-ე მუხლის მე-2, მე-5 პუნქტები, 30-ე 1-ლი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი, 30-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-5, მე-7, მე-8, მე-9 პუნქტები, 31-ე, 32-ე, 34-ე, 38-ე, 39-ე მუხლები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 24 ივლისის N5-54 ბრძანება ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

სამსახურის პოზიცია

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, რაც უზრუნველყოფს ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას, ასევე, მცენარეების გადარგვის შესაძლებლობა და გადარგვის შემდგომ გახარების ალბათობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, სამსახური თანახმაა, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით გასცეს საპროექტო შენობის არეალში განთავსებული **60 ძირი მწვანე ნარგავის (ს.კ.: 01.14.03.038.067 –** N1 ლეკა ნეკერჩხალი - 8სმ, N2 ლეკა ნეკერჩხალი - 8სმ, N3 ლეკა ნეკერჩხალი - 8სმ, N4 სოჭი -7სმ, N5 სოჭი - 9სმ, N6 ლეკა ნეკერჩხალი - 8სმ, N7 ლეკა ნეკერჩხალი - 9სმ, N8 ლეკა ნეკერჩხალი - 8სმ, N13 წყავის ბუჩქი - 3სმ, N14 წყავის ბუჩქი - 3სმ, N15 წყავის ბუჩქი - 3სმ, N16 წყავის ბუჩქი - 3სმ, N18 ოლეანდრა - 3სმ, N19 ოლეანდრა -3სმ, N20 ოლეანდრა -3სმ, N21 ოლეანდრა -3სმ, N22 წყავი -3სმ, N23 ოლეანდრა -3სმ, N24 ოლეანდრა -3სმ, N25 ოლეანდრა -3სმ, N26 ოლეანდრა -3სმ, N27 ოლეანდრა -3სმ, N28 წყავი -3სმ, N29 წყავი -3სმ, N30 წყავი -3სმ, N31 წყავი -3სმ, N32 ლეილანდის კვიპაროზი - 4სმ, N33 ლეილანდის კვიპაროზი - 4სმ, N34 ლეილანდის კვიპაროზი - 4სმ, N35 ფიტოსპორუმი -1.5სმ, N36 ლეილანდის კვიპაროზი -4სმ, N37 ფიტოსპორუმი - 1.3სმ**; ს.კ.: 01.14.03.038.066 –** N1 ცაცხვი - 10სმ, N2ცაცხვი -10სმ, N3 ცაცხვი -10სმ, N4 ცაცხვი -11სმ, N8 ფოტინია -2სმ, N9 ფოტინია -2.3სმ, N10 ფოტინია -2.1სმ, N11 ფოტინია -2.3სმ, N12 ლეილანდის კვიპაროზი -3სმ, N13 ლეილანდის კვიპაროზი - 3სმ, N14 ლეილანდის კვიპაროზი - 3სმ, N16 ლეილანდის კვიპაროზი - 3სმ, N17 ლეილანდის კვიპაროზი - 3სმ, N18 ლეილანდის კვიპაროზი -3სმ, N19 ლეილანდის კვიპაროზი - 3სმ, N20 ლეილანდის კვიპაროზი - 4სმ, N21 ლეილანდის კვიპაროზი -4სმ, N22 ფიტოსპორუმი -1.4სმ, N23 ფიტოსპორუმი -1.3სმ, N24 წყავი -1.2სმ, N25 წყავი -1.3სმ, N26 წყავი -1.2სმ, N27 აბელია -2სმ, N28 წყავი -1.2სმ, N29 წყავი -1.3სმ, N30 წყავი -1.2სმ, N31 აბელია -2სმ, N32 წყავი -1.3სმ) **იმავე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვა მას შემდეგ, როდესაც დაინტერესებული პირი გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარმოადგენს მშენებლობის ნებართვას, გადარგვის საბოლოო ნებართვის მისაღებად.**

ვინაიდან სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული 8 ძირი მწვანე ნარგავი **(ს.კ.: 01.14.03.038.067 –** N57 ვერხვის ხე -17სმ, N58 ვერხვის ხე - 36სმ, N68 ვერხვის ხე -10სმ, N86 კანადური ნეკერჩხალი - 7სმ, N92 ვერხვი - 25სმ, N98 ვერხვი - 45სმ, N102 ვერხვი - 25სმ, **ს.კ.: 01.14.03.038.066 –** N33 ვერხვი -41სმ) ხმობადია, ზეხმელია, ამორტიზირებულია, მათი მოჭრით არ დაირღვევა მიმდებარედ არსებული ტერიტორიის ეკოლოგიური წონასწორობა, სამსახური გასცემს მოცემული ნარგავების მოჭრის ნებართვას, **მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ, როდესაც განმცხადებელი სამსახურში წარმოადგენს საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება.**

დაინტერესებულ პირს, მშენებლობის ნებართვის მიღების შემდგომ, 8 ძირი ხმობადი/ზეხმელი ნარგავის მოჭრის სანაცვლოდ ევალება მინიმუმ იმავე რაოდენობის (8 ძირი) ახალი ნერგის დარგვა იმავე ტერიტორიაზე.

დასარგავი მცენარეების სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან **(გარდა, კვიპაროსისა, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

საკომპენსაციო რგვის ფარგლებში დასარგავი ნერგების მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელ წინაპირობებში მითითებულ პირობებს.

აღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს წერილობით ნებართვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. აქედან გამომდინარე და განმცხადებლის მოთხოვნის გათვალისწინებით, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე, მოსაჭრელი ხილ-კენკროვანი მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა, არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ოდენობას, შესაბამისად, მათი (**ს.კ.: 01.14.03.038.066 – 3 ძირი** (N5 ბროწეული, N6 ბროწეული, N7 ბროწეული); **ს.კ.: 01.14.03.038.067 – 5 ძირი** (N9 ზეთის ხილი, N10 ზეთის ხილი, N11 ზეთის ხილი, N12 ფშატი, N17 ზეთის ხილი) მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, **01.14.03.038.066** საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას ხელს არ უშლის ტერიტორიაზე აღწერილი, საექსპერტო დასკვნის ნუმერაციის მიხედვით N34-დან N76 -ის ჩათვლით მონიშნული მწვანე ნარგავები. საპროექტო შენობა-ნაგებობასა და აღნიშნულ ნარგავებს შორის დაშორების მანძილი 3 მეტრზე მეტია.

პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელი წინაპირობები

დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციისას, ასევე, იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული)**.

მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან, ყვავილებთან მიმართებით.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან **(გარდა კვიპაროსისა, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით -**20-25 კვ. მეტრი** 1 ძირი დიდი ვარჯის მქონე ხისთვის. ხოლო 1 ძირი მცირე ზომის ვარჯის მქონე ხისთვის **10-12 კვ.მ.**

ხის ნერგი გამოზრდილი უნდა იყოს სანერგეში, სწორი ფორმის მქონე მთავარი ღეროთი. მარადმწვანე ხეები (როგორც წიწვოვანი ასევე, ფოთლოვანი) დაფესვიანებული შესაბამისი ზომის კონტეინერში არანაკლებ 65 ლიტრი (CLT).
წიწვოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში (გარდა იტალიური ფიჭვისა, მასზე ვრცელდება ფოთლოვანი ხეების პარამეტრები), ნერგის სიმაღლე არანაკლებ 3 მ; მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა (CIRC) არანაკლებ 0,16 მ., ფესვის ყელიდან 0,1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული; ქოთანში დაფესვიანებული; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს ფესვის ყელიდან არაუმეტეს 0,25 მ. სიმაღლეზე.
ფოთლოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში, ნერგის სიმაღლე 3.5 მ.; მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა (CIRC) არანაკლებ 0,18 მ. ფესვის ყელიდან 1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს მცენარის ფესვის ყელიდან არანაკლებ 1,8 მ. სიმაღლეზე; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული.

გასათვალისწინებელი წინაპირობა

წინამდებარე დოკუმენტი ადმინისტრაციული დაპირებაა. მწვანე ნარგავების (გარდა ხილ-კენკროვანი სახეობისა) მოჭრის/გადარგვის ნებართვის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული მოთხოვნები.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი